თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

30.11.2018

N 6905

შპს ,,მზიური"-ს დირექტორს

ბ-ნ შ. ბასილაშვილს

თბილისი წერეთლის პროსპექტი #117

ბატონო შოთა,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს "საქართველოს რკინიგზის" შესაბამის მეურნეობებში განხილული იქნა შპს "მზიური"-ს 2018 წლის 13 ნოემბრის №13/18 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ანდრონიკაშვილის ქ. №143-ში საწარმოს და საწყობის მშენებლობის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ არ ვართ წინააღმდეგი წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანამხად, 01.11.01.006.106 საკ/კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რკინიგზის კუთვნილ ტერიტორიიდან 20 მ-ზე, განხორციელდეს ყველის საწარმოს და მისთვის საჭირო სასაწყობე ნაგებობის მშენებლობა, საქარველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

ინფრასტრუქტურის დირექტორი
ვასილ ხორავა




01.11.01.006.092 მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში №892018854884 ნომრით წარდგენილი იყო განაცხადი სერვიტუტის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. რაზედაც საჯარო რეესტრმა დამატებით მოითხოვა სერვიტუტის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების დადება ვერ ხერხდება ვინაიდან ორივე ნაკვეთი არის ერთი იურიდიული პირის საკუთრება და საქართველოს კანონმდებლობით საკუთარ თავთან ხელშეკრულების დადება არ არის შესაძლებელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

გადაწყვეტილება N 892018854884-04 (09.10.2018)

## სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (No.892018854884; 03 ოქტ 2018; განმცხადებელი: შპს 'მზიური', მისამართი: ). განცხადებით მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია , მდებარე ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , N 143 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , N 143 , (ნაკვეთი N6/26) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , N 143 , (ნაკვეთი N6/23) ; ქალაქი თბილისი , ბარისახოს ქუჩასა , და გარშემოსავლელ გზას შორის (ზონა:თბილისი, სექტორი: გლდანი)

განცხადებაზე თანდართულია:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ.ვერსია
4. ექსპლატაციაში მიღების ბრძანება

ვინაიდან განცხადებას თან არ ერთვის მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი /ინფორმაცია, კერძოდ, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ,,საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დასაზუსტებელია მოთხოვნა, ვინაიდან წარმოდგენილი აზომვითი ნახაზებით, 844 კვ.მ მიწის ფართზე ფიქსირდება სერვიტუტის ფენა.
აღნიშნულიდან გამომდინარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან ერთად თუ ითხოვთ სერვიტუტის უფლების წარმოშობას წარმოსადგენი იქნება სერვიტუტის ხელშეკრულება და სააგენტოს მიერ გაწეული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის, 50 ლარისგადახდის დამადასტურებელი საბუთი (ქვითარი).

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.